N გ-22-04/2485
25/10/2022

2485-გ-22-04-2-202210251651

მოქ. მირანდა თეთრაძეს

ქალბატონო მირანდა,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (შემდგომში „კომისია“) შემოსულია თქვენი 202 წლის 21 ოქტომბრის განცხადება (კომისიაში რეგისტრაციის N შ-22-9/3846) საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკის თანახმად (მაგალითისთვის იხ. 2010 წლის 5 ივლისის N ბს-1278-1240 (კ-08), 2017 წლის 26 სექტემბრის N ბს-494-491(კ-17) გადაწყვეტილებები), „ინფორმაციის გაცემის ვალდებულება არსებობს მაშინ, თუ მას გააჩნია მატერიალური ხასიათი და დაცულია საჯარო დაწესებულებაში, ამასთან, მისი ამ სახით მოძიებისა და შექმნის ვალდებულება უნდა გააჩნდეს კონკრეტულ საჯარო დაწესებულებას“.

მაუწყებლებში წინასაარჩევნო რეკლამების ხანგრძლივობის თაობაზე ინფორმაცია თქვენს მიერ გამოთხოვილი სახით კომისიაში არ არის დაცული, ვინაიდან კომისიას არ გააჩნია აღნიშნული სახით ინფორმაციის დამუშავების ვალდებულება. ამასთან, კომისია არ არის ვალდებული დაამუშავოს ინფორმაცია იმ სახით, რა სახითაც თქვენ გაქვთ გამოთხოვილი, მით უფრო, რომ აღნიშნული მოცულობითი სამუშაოს შესრულება შესაძლოა მოითხოვდეს საჯარო ინფორმაციის გასაცემად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ 10 დღიან ვადაზე (აღნიშნული ვადის გაგრძელებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს) ბევრად მეტ დროს, რომლის პარალელურად კომისიის აპარატის შესაბამისი თანამშრომლების მიერ შეუძლებელი იქნება მათზე დაკისრებული ისეთი სამსახურებრივი დავალებების შესრულება, რაც კომისიის უშუალო ფუნქციებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის მიერ 2020 წლიდან, წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ფარგლებში ხორციელდება ფასიანი და უფასო წინასაარჩევნო რეკლამის შესახებ ინფორმაციის ანალიზი და ქვეყნდება შესაბამისი ანგარიში. აღნიშნულის ფარგლებში კომისიას გამოქვეყნებული აქვს 2020 წლის საპარლამენტო და

2021 წლის ადგილობრივი არჩევნების ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამების ანგარიშები, რომლებსაც გიგზავნით დანართის სახით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია თქვენს მიერვე მოთხოვნილი სახით.

დანართი: 120 გვ

ვახტანგ აბაშიძე

წევრი
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია